საქართველო, ქ. თბილისი
S.p.s. „monoliTi“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№29/20 `6~ მაისი 2020 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

შ.პ.ს. ”ლათა N”-ის დირექტორს, ქალბატონ მარიანა მამაჯანოვას.

ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ქუჩა გ. აბესაძე №7. ქალაქი თბილისი ქუჩა აბესაძე (ყოფილი პირველი მაისი) №9-ში, შ.პ .ს . „ლათა N“-ს გააჩნია ორი მიწის ნაკვეთი მათზე მდებარე შენობებით, რომლებშიდაც ფუნქციონირებს სასტუმრო.

მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით ს/კ№01.18.03.039.048) მდებარე შენობის სართულიანობა ასეთია: -ერთი სარდაფის სართული - ერთი მიწისზედა სართული. შენობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილი გადაწყვეტილია ფოლადის ხისტკვანძებიან, კარკასულ ვარიანტში. კერძოდ კარკასის დგარებად და რიგელებად გამოყენებულია ფოლადის კვადრატული განივი კვეთის მქონე ელემენტები 200×5მმ. სართულშუა გადახურვებად სარფდაფის სართულისათვის გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის ფილა; ხოლო სასხვენო გადახურვად და სახურავის ელემენტებად გამოყენებულია ხის კონსტრუქციები. პერიმეტრზე შენობა შემოსაზღვრულია კედლებით წითელი აგურის წყობისაგან სისქით 70სმ.

მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით ს/კ№01.18.03.039.049) მდებარე შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში. ჩარჩოს სვეტების განივი კვეთებია b×h=40×40სმ. სართულშუა გადახურვებად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი (რიგელებიანი) ფილები. წიბოების (რიგელების) განივი კვეთებია b×h=40×50სმ. სართულშუა გადახურვის ფილების სისქე δ=16სმ. საძირკვლებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიანი ფილა, სისქით 70სმ. იგი დაფუძნებულია 150სმ. სისქის მდინარის ბალასტოვან ფენაზე. იგი გაანგარიშებულია 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე იმყოფება კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში და მთლიანად აკმაყოფილებს მასზე წაყენებულ მოთხოვნებს. შენობის სართულიანობა შემდეგია:

-ერთი ნახევრადსარდაფის სართული.
-ოთხი მიწისზედა სართული.
-მანსარდის სართული.

შემოწმებით დადგინდა, რომ საკვლევ შენობებს რამდენადმე მნიშვნელოვანი კონსტრუქციული სახის დაზიანებები და დეფორმაციები არ აღენიშნებათ და იმყოფებიან დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მდგომარეობაში.

ჩვენს ქვეყანაში ტურისტული პოტენციალისა და ტურისტული ნაკადის ზრდის გამო, შ.პ.ს. „ლათა N“-ის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩაატაროს არსებული შენობის რეკონსტრუქცია და №01.18.03.039.048 საკადასტრო ერთეულით განსაზღვრულ შენობას დააშენოს ორი სართული.

№01.18.03.039.049 საკადასტრო ერთეულით განსაზღვრული სასტუმრო შ.პ.ს. „ლათა N” აგებულია 2007 წელს შ.პ.ს. „ინფინიტი“-ს მიერ დამუშავებული და ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის საფუძველზე (ბრძანება №03/360. 18.04.2007წ.). გაცემულია მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/463-1.

როგორც ითქვა შ.პ.ს. „ლათა N” განთავსდა ახლად აგებულ შენობაში. 2015 წელს შ.პ.ს. „სითი +“-ს მიერ მოქალაქე იოსებ საათაშვილისაგნ შეძენილი იქნა მომიჯნავედ არსებული ძველი შენობა მისამართით გ. აბესაძის ქუჩა №9. იმავე წელს შ.პ.ს. „სითი +“ და შ.პ.ს. „ლათა N”. გაერთიანდა და დაერქვა შ.პ.ს. „ლათა N”. გ. აბესაძის ქუჩა №9-ში მდებარე ძველ შენობას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და დაუკავშირდა გ. აბესაძის ქუჩა №7-ში მდებარე შენობას. აღსანიშნავია, რომ შენობების კავშირი ერთმანეთთან წმინდა არქიტეტურული სახისაა; ხოლო კონსტრუქციული თვალსაზრისით ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა ნაგებობებს, განსხვავებული კონსტრუქციული სქემიებით, სხვადასხვა საძირკვლებითა და სართულიანობით.

ზემოაღნიშნული კარგად იკითხება თანდართულ ფოტომასალაზე (ფოტო1;2)



ფოტო 1არსებული მდგომარეობა



ფოტო2.

დასკვნა:

1. ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ქუჩა გ. აბესაძე №7. ქალაქი თბილისი ქუჩა აბესაძე (ყოფილი პირველი მაისი) №9-ში, შ.პ .ს . „ლათა N“-ს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ№01.18.03.039.048) გააჩნია შენობა სადაც ფუნქციონირებს სასტუმრო.

ჩვენს ქვეყანაში ტურისტული პოტენციალისა და ტურისტული ნაკადის

ზრდის გამო, შ.პ.ს. „ლათა N“-ის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ჩაატაროს არსებული შენობის რეკონსტრუქცია და დააშენოს მასზე ორი სართული.

ადგილზე ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ არსებული სასტუმროს შენობის მზიდ კონსტრუქციულ ნაწილს წარმოადგენს ფოლადის კარკასი. კარკასი ეყრდნობა მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვან საძირკვლებს, ძირის ბალიშის ზომებით 200×200სმ.

შპს „ლაინ ჯორჯია“-ს (line Georgia) მიერ № 01.18.03.039.048-თი განსაზღვრულ საკადასტრო კოდზე დამუშავებული 2020 წლის პროექტის არქიტექტურული ნაწილის მიხედვით სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია, მიზანშეწონილი და არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას არსებული შენობისათვის. დაშენება უნდა იწარმოოს დამუშავებული პროეტის კონსტრუქციული ნაწილის მიხედვით, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ქვეყანაში დღეს მოქმედი სამშენებლო ნორმები და წესები.

2. ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ საკვლევი შენობები (რომლებიც განთავსებული არიან გ. აბესაძის ქ. №7 (ს/კ№01.18.03.039.049) და გ. აბესაძის ქ. №9 (ს/კNo01.18.03.039.048) კონსტრუქციული თვალსაზრისით წარმოადგენენ სხვადასხვა შენობა-ნაგებობებს.

3. დღეისათვის, შ.პ.ს. „ლაინ ჯორჯია“-ს (line Georgia) მიერ, ს/კ №01.18.03.039.049-თი განსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე, მიმდინარე წელს დამუშავდა პროექტის რეკონსტრუქციის არქიტექტურული ნაწილი.

პროექტის ამიხედვით, გათვალისწინებულია გ. აბესაძის ქუჩა №7-ში (ს/კ№ 01.18.03.039.048) და №9-ში (ს/კ№ 01.18.03.039.049) მდებარე შენობების არქიტექტურული თვალსაზრისით განცალკევება (მათ შორის საერთო სივრცობრივი კავშირი აღარ იქნება), კერძოდ: გათვალისწინებულია 2015 წელს შეთანხმებული პროექტის მიხედვით (ბრძანების ნომერი №1708460) შენობებს შორის სივრცობრივად დამაკავშირებელი ნაწილის დემონტაჟი და გარე კედლის შევსების სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების ჩატარება არ იქონიებს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას არც ერთი შენობა-ნაგებობის მზიდი კონსტრუქციული ნაწილის მუშაობის ხასიათზე და დასაშვებად მიგვაჩნია.

ზემოთ მითითებულია, რომ საკვლევ შენობებს ერთმანეთთან კონსტრუქციული კავშირი არ გააჩნიათ და წარმოადგენენ დამოუკიდებელ ნაშენებს.

შ.პ.ს. „მონოლითი“-ს
დირექტორი /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი /მ. საველიძე/